საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კეკავმენოსი

კეკავმენოსი (Kekaumenos) (დაახლ. 1020–81-ის შემდეგ), ბიზანტიელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. მამის მხრიდან ტაოელი ქართველი (სხვა მოსაზრებით – სომეხი), დედით ბულგ. ვოევოდას შთამომავალი. სიბერის ჟამს გაიტაცა მწერლობამ. მისი *თხზ.* „სტრატეგიკონი" წარმოადგენს სხვადასხვა შრომების კრებულს („რჩევები იმპერატორს", „რჩევები ტოპარქოსს" და სხვ.) მასში ავტორი იძლევა დარიგებებს როგორც სამხედრო ხელოვნების, ისე საყოფაცხოვრებო საკითხებზე, მაგრამ მისი მთავარი ღირებულებაა ის ცნობები, რ-ებიც ეხება ბიზანტიის ურთიერთობას სხვადასხვა ხალხებთან, კერძოდ, ბიზანტიის სახელმწიფო საქმეებს ბასილი II-ის (976–1025) დროიდან ვიდრე რომანოზ IV დიოგენემდე (1067– 71). კ. გვაწვდის ცნობას იბერიის მძიმე გადასახადებით დაბეგვრის შესახებ: „უსათნოესი მეფის მონომახოსის დროს იყო, რომ იბერიასა და მესოპოტამიაში გაემგზავრა მეფის ბრძანებით სერვლია (გადასახადის ამკრეფი), რომ მოეხდინა იქ აღწერა და დაედო ისეთი მძიმე გადასახადები, რომლებიც არასდროს არ ჰქონიათ მათი ქვეყნის მცხოვრებლებს და ამით აიძულა ისინი მთელი კომლებით გადასულიყვნენ სპარსელთა მეფის მხარეზე. ამიტომ მოხდა, რომ მათ სპარსთა მეფე წამოიყვანეს დიდძალი ჯარებით რომანიის წინააღმდეგ".

ლიტ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 5, თბ., 1963.

ლ. მანიავა